

შპს „შირაქი“-ს 2022 წლის ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

პერიოდი

31/12/2022 31/12/2021 31/12/2020

აქტივები			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	58468	81697	24100
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1084400	866026	536534
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	343776	0	0
მარაგები	423116	141270	553820
მზა პროდუქცია	374737	79122	553820
სხვა	48379	62148	0
სხვა მოკლევადიანი აქტივები	0	19046	0
სხვა არამატერიალური აქტივები	0	0	79940
ძირითადი საშუალებები	557583	498495	356130
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	0	0	0
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	0	0	0
სხვა გრძელვადიანი აქტივები	0	0	0
სულ აქტივები	2467343	1606534	1550524
ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება	0	0	0
სავაჭრო ვალდებულებები	764811	485419	668198
ანარიცხები	0	0	0
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	0	0	0
საგადასახადო ვალდებულებები	8556	0	0
გამომუშავებული შემოსავალი	0	0	0
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	2000	36000	0
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	100000	0	106960
მიღებული გრანტები	0	0	0
სხვა ვალდებულებები	8818	5636	0
სულ ვალდებულებები	884185	527055	775158
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	0	0	0
საემისიო შემოსავალი	0	0	0
გამოსყიდული საკუთარი აქციები	0	0	0
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	1583158	1079479	775366
გადაფასების რეზერვი	0	0	0
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	0	0	0
სულ საკუთარი კაპიტალი	1583158	1079479	775366
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	2467343	1606534	1550524
სულ მოკლევადიანი აქტივები	1909760	1108039	1114454
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	784185	527055	668198

შპს „შირაქი“-ს დირექტორი



[Handwritten signature]

გივი ქავთარაძე

საქმიანობის შედეგები

საქმიანობის შედეგები	31/12/2022	31/12/2021
ნეტო ამონაგები	7849580	7003402
საქონლის გაყიდვიდან	7849580	6986043
მომსახურების გაწევიდან	0	17359
გაყიდვების თვითღირებულება	-5776201	-5358022
საერთო მოგება	2073379	1645380
სხვა საოპერაციო შემოსავალი	99069	120912
დასაქმებულთა ანაზღაურება	-411984	-306826
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	-62503	-52106
საპროცენტო შემოსავალი	0	0
საპროცენტო ხარჯი	-1520	0
იჯარის ხარჯი	-4777	-5722
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-1118745	-1094462
სულ საოპერაციო ხარჯები	-1500460	-1338204
საოპერაციო მოგება	572919	307176
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:		
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	0	0
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	572919	307176
მოგების გადასახადის ხარჯი	-11240	-3063
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	561679	304113
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	561679	304113
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	1079479	775366
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	-58000	0
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	0	0
კაპიტალის სხვა ცვლილებები	0	0
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	1583158	1079479

ფულადი სახსრების მოძრაობა

ფულადი სახსრების მოძრაობა	31/12/2022	31/12/2021
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	124454	228858
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	-153993	-100301
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	6481	-70960
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	-23058	57597
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	-171	0
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	81697	24100
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	58468	81697

მპს „შირაქი“-ს დირექტორი




გივი ქავთარაძე

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „შირაქი“ (შემდეგ - კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაფუძნდა 2012 წლის 19 მარტს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. საიდენტიფიკაციო ნომრით 428518678.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს: არასპეციალიზებული საბითუმო ვაჭრობა, რძის გადამუშავება და ყველის წარმოება. იურიდიული მისამართია: საქართველო, დედოფლისწყაროს რაიონი, სოფ. არხილოსკალო, ხოლო ფაქტიური - ქ. თბილისი, სამგორის ქ. N22.

კომპანიის დამფუძნებელია ფ/პ ნიკოლოზ ბენიაიძე პ/ნ 14001001261.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლები და ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია „მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად (შემდგომში “მსს ფასს”), რაც ასახავს კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკას მსს ფასს საფუძველზე, რომელიც შესაბამისობაშია მსს ფასს-თან და მოიცავს შესადარის ინფორმაციას. ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას მენეჯმენტმა გამოიყენა მსს ფასს, ფაქტებისა და გარემოებების საუკეთესო გამოცდილება.“

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში.

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელიც გამოყენებულია ამ ფინანსური ინფორმაციის მომზადებისას, მოცემულია ქვემოთ.

2.1) ძირითადი საშუალებები და ბიოლოგიური აქტივები

ძირითადი საშუალებები თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით, რომელიც შეძენის ფასთან ერთად მოიცავს პირდაპირ დანახარჯებს და მათთან დაკავშირებულ ნებისმიერ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად. შემდგომი ხარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური

სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. ყველა სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება, როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად.

მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებასა და მიღებული თანხის შედარებით და ჩაირთვება სხვა შემოსავლების/ხარჯების კატეგორიაში.

მიწას ცვეთა არ ერიცხება, ხოლო დანარჩენ ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი მეთოდით.

იხ. დანართი - გრძელვადიანი აქტივების ნარჩენი საბალანსო ღირებულება.

ანგ	გრძელვადიანი აქტივები	31.12.2021			31.12.2022		
		პირვანდელი ღირებულება	დაგროვილი ცვეთა	საბალანსო ღირ-ება	პირვანდელი ღირებულება	დაგროვილი ცვეთა	საბალანსო ღირ-ება
2110	მიწის ნაკვეთები	4237		4237	4237		4237
2130	ნაგებობები	38136	3699	34437	38136	5225	32911
2150	მანქანა-დანადგარები	445658	177795	267863	479996	216207	263789
2170	ოფისის აღჭურვილობა	9530	7047	2483	11393	8321	3072
2180	სატრანსპორტო საშუალებები	74302	4859	69443	96402	14528	81874
2190	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	148810	28778	120032	211584	39882	171702

2.2) მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენისა და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მაგალითად, ტრანსპორტირებისა და იმპორტის ხარჯები, ასევე სხვა პირდაპირი ხარჯები.

წარმოების პროცესში ნედლეულიდან მზა პროდუქციაზე გადასვლის ეტაპს წარმოადგენს დაუმთავრებელი წარმოება. ყოველთვის, წარმოების ყველა დანახარჯი აკუმულირდება და თავს იყრის დაუმთავრებელი წარმოების ანგარიშზე. წარმოების დანახარჯების მაგალითებია: ცვეთა, იჯარა შრომის ანაზღაურება, კომუნალური ხარჯები და სხვა საწარმოო ზედნადები ხარჯები.

მარაგების თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით.

2.3) დაბეგვრა

გადასახადები აღიარდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. წინასწარ გადახდილი გადასახადები წარდგება, როგორც საგადასახადო აქტივები.

2.4) შემოსავალი

საქონლის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის ფლობასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებსა და სარგებელს, და ასევე, როდესაც მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს.

თუ ამონაგები უკვე ასახულია და ამის შემდეგ საექვო გახდა თანხის მიღება, ამოსაღები თანხა აისახება როგორც ხარჯი და არა როგორც თავდაპირველად აღიარებული ამონაგების თანხის კორექტირება.

2.5) ხარჯების აღიარება

კომპანია თავისი ძირითადი ოპერაციების განხორციელებისას ახდენს როგორც საოპერაციო, ასევე სხვა ხარჯების გაწევას, რომელიც პირდაპირ არ არის დაკავშირებული საქონლის რეალიზაციასთან/მომსახურების გაწევასთან.

მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, თუ აღარ მოიტანს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან თუ ეკონომიკური სარგებელი არ აკმაყოფილებს ან შეწყვეტა დაკმაყოფილება აქტივის აღიარების მოთხოვნისა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

2.6) სახელფასო განაცემები

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

2.7) საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ

ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

2.8) შეფასებისა და წარდგენის ვალუტა

კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს.

შპს „შირაქი“-ის დირექტორი:



გივი ქავთარაძე